საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-435

13/04/2021

ქ. თბილისი

შპს „პრემიერ ჯორჯიას“ სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ნიტრო-კორდექსზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 22 მარტს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „პრემიერ ჯორჯიასა“ და შპს „ნიტრო-კორდექსის“ დირექტორმა. შპს „პრემიერ ჯორჯიამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ნიტრო-კორდექსზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2006 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „პრემიერ ჯორჯიას“ სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების ქარხნის მშენებლობის პროექტზე გაიცა №21 (23.01.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 12 იანვარს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-39 ბრძანება „შპს „პრემიერ ჯორჯიას“ სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „პრემიერ ჯორჯიას“ სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფეთქებადი ნივთიერებების წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 იანვრის №2-39 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ნიტრო-კორდექსს“;
2. შპს „ნიტრო-კორდექსმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 იანვრის №2-39 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნიტრო-კორდექსსა“ და შპს „პრემიერ ჯორჯიას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიტრო-კორდექსისა“ და შპს „პრემიერ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი